

პოლიტიკის მემორანდუმი

**ქართული პარტიული
პოლიტიკური დისკურსი
მიუმხრობლობის პოლიტიკის
შესახებ: როგორ შეიცვალა
მისი მნიშვნელობა
1992 წლის შემდეგ?**

ლევან კახიშვილი



პოლიტიკის მემორანდუმი გამოცემა #38 | ოქტომბერი 2020



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.


პოლიტიკის მემორანდუმი გამოცემულია პროექტის "კომპეტენციის გაღრმავება თანამშრომლობით: საქართველოს სტრატეგიული გზა ევროპისკენ" (GEOPATH) ფარგლებში, **ნორვეგიის კვლევითი საბჭოს** ფინანსური მხარდაჭერით (გრანტის ნომერი - 287815).

დოკუმენტის ციტირების წესი:

ლევან კახიშვილი, "ქართული პარტიული პოლიტიკური დისკურსი მიუმხრობლობის პოლიტიკის შესახებ: როგორ შეიცვალა მისი მნიშვნელობა 1992 წლის შემდეგ?", პოლიტიკის მემორანდუმი #38, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ოქტომბერი 2020.

© Georgian Institute of Politics, 2020
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge



ავტორი: ლევან კახიშვილი [1]

შესავალი

საქართველოში საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ოქტომბრის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ფონზე, მინიმუმ სამი პარტია უჭერს მხარს სამხედრო ნეიტრალიტეტს ან მიუმხრობლობის პოლიტიკას, როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკის ოპტიმალურ არჩევანს. ეს პარტიებია საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (იხ. Patriots.ge 2020), ერთიანი საქართველო (იხ. ლიბერალი 2016) და თავისუფალი საქართველო (იხ. Freegeorgia.ge 2020). წარმოდგენილი სამი პარტიიდან სამხედრო ნეიტრალიტეტის ყველაზე ღია და სავარაუდოდ ყველაზე მნიშვნელოვანი მხარდამჭერი პატრიოტთა ალიანსია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი მცირე ზომის პარტიაა, მხოლოდ პატრიოტთა ალიანსმა მოახერხა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 5%-იანი ბარიერის გადალახვა და პარლამენტში ექვსი მანდატის მიღება. ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ უმნიშვნელოა ის, თუ რა გავლენა აქვს მსგავს მცირე ზომის პარტიებს საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე. თუმცა, ისინი გავლენას ახდენენ პოლიტიკურ დისკურსზე, როდესაც ძირითად პარტიებს უპირისპირდებიან; ხოლო გავლენის ზრდასთან ერთად, პოლიტიკური დისკურსის ცვლილება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ცვლილებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი ხდება.

წინამდებარე პოლიტიკის მემორანდუმის მიზანია არა საქართველოს სამხედრო ნეიტრალიტეტის, როგორც საგარეო პოლიტიკის არჩევანის შესაძლებლობის შეფასება (ნეიტრალიტეტის შესაძლებლობაზე იხილეთ კაკაჩია, ლებანიძე და ძებისაშვილი 2020), არამედ იმის გარკვევა, თუ როგორ შეიცვალა ნეიტრალიტეტის იდეა და ამ, ერთი შეხედვით, მარტივი კონცეფციის მნიშვნელობა საქართველოს პარტიული პოლიტიკის დისკურსში ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში. ამ მიზნით, დოკუმენტში გაანალიზებულია 1992-2016 წლებში საპარლამენტო პარტიების პროგრამები (პროგრამები მოძიებულ იქნა Manifesto Project-ის მონაცემთა ბაზაში, იხილეთ, Volens et al 2019). საარჩევნო პროგრამების კოდირება და დამუშავება მოხდა კონტენტ ანალიზის გამოყენებით, რომელიც იძლევა პარტიის პოზიციის გამოთვლის შესაძლებლობას იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად უჭერს მხარს პოლიტიკური პარტია მიუმხრობლობის პოლიტიკას. ანალიზი ეფუძნება 46 პარტიის პროგრამას შვიდი საპარლამენტო არჩევნების განმავლობაში და ასახავს საქართველოში პარტიული პოლიტიკის დისკურსში მიუმხრობლობის პოლიტიკის მნიშვნელობის ცვლილებას.


[1] ლევან კახიშვილი არის ბამბერგის უნივერსიტეტის ბამბერგის სოციალური მეცნიერებების სადოქტორო სკოლის დოქტორანტი და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პოლიტიკის ანალიტიკოსი.

რა პოზიცია უკავიათ პარტიებს საგარეო პოლიტიკაში მიუმხრობლობის იდეის თვალსაზრისით?

იმისათვის, რომ შეფასდეს თუ როგორ პოზიციონირებენ პარტიები მიუმხრობლობის ან ნეიტრალიტეტის პოლიტიკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს კონკურენციის განზომილება. ეს გულისხმობს განზომილების ორ უკიდურეს პოლუსს. ერთი უკიდურესი პოლუსია პოზიცია, რომელიც სრულად ემხრობა რომელიმე გარეშე ძალასთან ალიანსს და მეორე - რომელიც გულისხმობს ქვეყნის სრული მიუმხრობლობის პოლიტიკას. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, არსებობს ორი ძირითადი გარეშე ძალა, ვისთანაც ქვეყანას ალიანსში შესვლა შეუძლია. პირველი, ეს არის დასავლეთი - აშშ-ს, ნატოსა და ევროკავშირის ჩათვლით, და მეორე - რუსეთი. შესაბამისად, პარტიების საარჩევნო პროგრამებში შესაძლებელია სიხშირეების გამოთვლა, თუ რამდენჯერ არის ეს ძალები ნახსენები დადებით ან უარყოფით კონტექსტში. ამასთან, ზოგიერთი პარტიის პროგრამაში აქცენტი საქართველოს ნეიტრალიტეტის სტატუსზე კეთდება. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე მემორანდუმის მიზანი არ არის იმის განსაზღვრა, თუ რომელ ძალასთან სურთ კონკრეტულ პარტიებს მჭიდრო თანამშრომლობა, ალიანსი, როგორც პარტიის საგარეოპოლიტიკური პოზიცია განისაზღვრება ნებისმიერ დასავლურ ძალასთან და/ან რუსეთთან დადებითი განწყობებისა და ნეიტრალიტეტის ან მიუმხრობლობის პოლიტიკის მიმართ ნეგატიური განწყობების დაჯამებით. მიუმხრობლობის კონცეპტუალიზაცია კი საპირისპიროდ ხდება: ეს წარმოადგენს დასავლური ძალების და/ან რუსეთის მიმართ ნეგატიური განწყობებისა და ნეიტრალიტეტის ან მიუმხრობლობის მიმართ პოზიტიური განწყობების ჯამს. პარტიის პოზიციის გამოსათვლელად დაანგარიშებულია აღნიშნული განწყობების სიხშირე და მათი ლოგარითმული პროპორციები. ლოგარითმული პროპორციების გამოთვლა საშუალებას იძლევა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პროგრამის მოცულობის (ზოგიერთ პარტიას მოკლე პროგრამა აქვს, ხოლო სხვებს საკმაოდ ვრცელი) გავლენა მოცემული პარტიის პოზიციაზე (იხილეთ Lowe et al 2011).

შესაბამისად, პარტიის პოზიციები განლაგებულია 1992-2016 წლებში შვიდი საპარლამენტო არჩევნებისას გარეშე ძალასთან ალიანსის და მიუმხრობლობის პოლიტიკის მხარდაჭერის განზომილების სიბრტყეზე (იხილეთ გრაფა 1), რითიც მკაფიო სექმა იკვეთება. პირველი სამი არჩევნების პერიოდში, პარტიების მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერდა მიუმხრობლობის პოლიტიკას, როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკის არჩევანს. ამავდროულად, ეს პარტიები ყოველთვის მცირე ზომის პარტიებს არ წარმოადგენდნენ. მაგალითად, 1995 წელს, პარტია მოქალაქეთა კავშირი, რომელმაც არჩევნებში გაიმარჯვა და პარლამენტში მანდატების დაახლოებით ნახევარი მოიპოვა, მხარს მიუმხრობლობის პოლიტიკას უჭერდა, რაც მომდევნო არჩევნებზე 1999 წელს შეიცვალა. 2003, 2008 და 2012 წლის არჩევნებზე არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელმაც მოახერხა პარლამენტში მანდატების მოპოვება, მხარს არ უჭერდა მიუმხრობლობის პოლიტიკას. თუმცა, 2016 წელს მიუმხრობლობის საკითხი კვლავ დაბრუნდა პარტიული კონკურენციის პროცესში, რომელსაც მხარი საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა დაუჭირა.

გრაფა 1. მიუმხრობლობა და პარტიის ზომა 1992-2016 წლებში.



შენიშვნა: პარტიების აბრევიატურა (ყველაზე დიდი პარტიები თითოეული არჩევნების პერიოდის განმავლობაში).

- 1992 - ბლოკი მშვიდობა (PB), 11 ოქტომბერი, ერთობა;
- 1995 - საქართველოს მოქალაქეთა კავშირი (CUG), ეროვნულ დემოკრატიული პარტია (NDP), აღორძინება;
- 1999 - CUG, აღორძინება, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (IWSG);
- 2003* - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (UNM), ახალი მემარჯვენეები (NR);
- 2008 - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, გაერთიანებული ოპოზიცია (UO), ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა (CDM);
- 2012 - ქართული ოცნება (GD), UNM;
- 2016 - GD, UNM, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (APG).

* 2003 წლის არჩევნებში მონიშნულია ის პარტიები, რომლებმაც მოახერხეს ვარდების რევოლუციის შემდეგ 2004 წელს საპარლამენტო მანდატების მოპოვება.

მიუხედავად იმისა, რომ საინტერესოა იმის ანალიზი, თუ რატომ არის სამი საარჩევნო ციკლის შუალედი მიუმხრობლობის პოლიტიკის მხარდამჭერი პარტიების პარლამენტში მოხვედრის თვალსაზრისით, წარმოდგენილი მემორანდუმი ამ საკითხს დეტალურად არ მიმოიხილავს. ნაშრომის მიზანია იმის დადგენა, თუ როგორ შეიცვალა მიუმხრობლობის პოლიტიკის მნიშვნელობა ამ პერიოდის განმავლობაში.

როგორ შეიცვალა „მიუმხრობლობის“ მნიშვნელობა საქართველოს პარტიულ პოლიტიკურ დისკურსში?

გრაფა 1-ის მიხედვით 1992-1999 წლებში 30 პარტიის პროგრამიდან დაახლოებით ნახევარი მიუმხრობლობის პოლიტიკას უჭერს მხარს. თუმცა, 2016 წელს იგივე პოზიციას ოთხი პარტიიდან მხოლოდ ერთი ემხრობოდა. პროგრამების თვისებრივი ანალიზი მიანიშნებს იმაზე, რომ 1999 წელს მიუმხრობლობის პოლიტიკის მხარდაჭერა საქართველოს პოლიტიკური პარტიებისთვის ანტირუსულ და პროდასავლურ პოზიციას წარმოადგენდა, მაშინ როდესაც 2016 წელს მიუმხრობლობის პოლიტიკა ანტიდასავლურ და პრორუსულ პოზიციად იქცა.

ანტირუსული მიუმხრობლობის პოლიტიკა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს მსოფლიოში საკუთარი ადგილის დამკვიდრება და ახალი მფარველის პოვნა მოუხდა, რასაც პოლიტიკური ელიტა დასავლურ ძალებში ეძებდა. თუმცა კომუნიზმის ნგრევა მოულოდნელი აღმოჩნდა დასავლეთისთვის, რამაც გარკვეული პერიოდის მანძილზე გაურკვევლობაც კი შექმნა „ისტორიის დასასრულის“ გარშემო. ამ დაბნეულობის ნათელი მაგალითი 1991 წელს პრეზიდენტი ბუშის მიერ წარმოთქმული სიტყვა - ე.წ. „ქათამი კიევეურად“ იყო, რომლის მიხედვითაც აშშ მხარს არ დაუჭერდა „ეთნიკურ სიძულვილზე დაფუძნებულ სუიციდურ ნაციონალიზმს“ - დამოუკიდებლობის მოძრაობებს, რომლებიც მიზნად ისახავდა „დიდი ხნის ტირანიის ჩანაცვლებას ადგილობრივი დესპოტით“ (Dahlburg 1991). შესაბამისად, საქართველოს მცდელობას ახალი მფარველი დასავლეთში ეპოვა, დასავლეთი დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია. იმის გათვალისწინებით, რომ ადრეული 90-იანი წლების პოლიტიკური ელიტა ნაციონალისტურად განწყობილი დამოუკიდებელი მოძრაობისგან ჩამოყალიბდა, ცხადია მათ არ ენდომებოდათ საქართველოს მფარველად რუსეთის შენარჩუნება. თუმცა, დასავლეთის ორჭოფობის ფონზე, მხოლოდ ერთი არჩევანი რჩებოდა: ნეიტრალიტეტი. ამ სიტუაციამ პარტიებს უბიძგა ორ მთავარ მესიჯზე გაემახვილებინათ ყურადღება: სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზებისგან საქართველოს გათავისუფლებასა და ფრთხილი და დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის გატარების საჭიროებაზე.

1992 წელს, ისეთი პარტიები, როგორცაა ტრადიციონალისტთა კავშირი, მერაბ კოსტავას საზოგადოება, სოციალური სამართლიანობის კავშირი და ა.შ. ყურადღებას ამახვილებდნენ იმ ფაქტზე, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა ყოფილიყო „საქართველოს გათავისუფლება უცხო ქვეყნის სამხედრო ძალებისგან“ და „საქართველოს ტერიტორიების ნეიტრალურ ზონად გადაქცევა“ ნებისმიერ სამხედრო ბლოკში გაერთიანებაზე უარის თქმით. 1999 წელს ლეიბორისტული პარტია ასევე ამახვილებდა ყურადღებას ნეიტრალური საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროისთვის რუსეთი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა სამხედრო ბაზებს თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, უცხო ქვეყნის სამხედრო ძალებისგან ქვეყნის გათავისუფლების მოთხოვნა პირდაპირი დარტყმა იყო საქართველოში ბაზირებული რუსი სამხედროების წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ მსგავსი რიტორიკა 2000-იან წლებში რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გასვლისთანავე შეწყდა.

მიუმხრობლობის პოლიტიკასთან დაკავშირებული კიდევ ერთი, საქართველოს მოქალაქეთა კავშირისთვის დამახასიათებელი მესიჯი ყურადღებას ამახვილებს გონივრული და დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობაზე. მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო პროგრამის მიხედვით, მსგავსი სიფრთხილე განპირობებულია ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობით, რომელიც ერთადერთ პოსტ-საბჭოთა ქვეყნას წარმოადგენს რუსეთსა და ნატოს წევრ - თურქეთს შორის. მოქალაქეთა კავშირის თქმით, სწორედ ეს მდებარეობა განსაზღვრავს როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის ინტერესს საქართველოს მიმართ, რაც საქართველოსთვის დაბალანსებული პოლიტიკის გატარების საჭიროებას განაპირობებს.

1990-იანი წლების გეოპოლიტიკური კონტექსტისა და საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მმართველობის პერიოდში ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის ნელ-ნელა დასავლეთის სასარგებლოდ ცვლილების გათვალისწინებით, პოლიტიკურ პარტიებს შორის მიუმხრობლობის პოლიტიკასთან დაკავშირებული დისკურსი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ანტირუსული პოზიცია.

ანტიდასავლური მიუმხრობლობის პოლიტიკა

2016 წელს, მცირე ზომის პარტიამ - საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა საქართველოს მიუმხრობლობის, როგორც საგარეო პოლიტიკის შესახებ დისკუსია განაახლა. თუმცა მიუმხრობლობის სასარგებლოდ არგუმენტები 1990-იანი წლების არგუმენტაციისგან განსხვავდება. პატრიოტთა ალიანსისთვის ამოსავალი წერტილია ის, რომ საქართველო ნატოს წევრობას, თითქმის, ორი ათეული წელია წარუმატებლად ცდილობს, რაც პარტიისთვის იმის მანიშნებელია, რომ დასავლეთი საქართველოს უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ განწევრიანებას არ გეგმავს. საქართველოს ნატოში გაწევრიანების შემთხვევაშიც კი, პატრიოტთა ალიანსის თქმით, ეს მოვლენა ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების იმედის დაკარგვის მანიშნებელი იქნება.

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი საკუთარ საარჩევნო პროგრამაში მიუმხრობლობის პოლიტიკას „გარდაუვალს“ უწოდებს და მისგან განსხვავებული საგარეო პოლიტიკის კურსის გატარებას დამღუპველად მოიხსენიებს. მომავალში საქართველოს ნატოში გაწევრიანების იმედს პატრიოტთა ალიანსი სიცრუედ აფასებს და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ასე მოხდა, პარტიის აზრით, ეს, სავარაუდოდ, ქვეყნის დანაწევრებას გამოიწვევს. მსგავსი მსჯელობა ხელს უწყობს იმ იდეის დამკვიდრებას, რომ ნატოში გაწევრიანება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებებია და, რომ ნატოში გაწევრიანების მცდელობა რუსეთს და საქართველოს შორის კიდევ ერთი გამანდგურებელი ომის მომტანი იქნება, რომლის შედეგადაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ყველანაირი იმედი საბოლოოდ დაიკარგება.

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი განაგრძობს ამ პლატფორმით 2020 წლის არჩევნებში მონაწილეობას. სავარაუდოა, რომ ისინი პარლამენტში გარკვეული რაოდენობის მანდატის მოპოვებას შეძლებენ და, შესაძლოა, მათ შეუერთდნენ მიუმხრობლობის პოლიტიკის მხარდამჭერი ერთი ან რამდენიმე სხვა პარტიაც. სხვა პარტიებს შორის შეიძლება, იყოს ერთიანი საქართველო და თავისუფალი საქართველო. ორივე პარტია მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ საქართველო არც ერთ სამხედრო ბლოკში არ უნდა გაწევრიანდეს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო არ გეგმავს რუსეთის სამხედრო ბლოკში გაწევრიანებას, საქართველოს მიუმხრობლობის იდეა ამ კონტექსტში ნატოს წინააღმდეგ მიმართულ და ანტიდასავლურ პოზიციად განიხილება. შესაბამისად, 1990-იან და 2010-იან წლებში მიუმხრობლობის პოლიტიკის მნიშვნელობის ცვლილება კიდევ უფრო მკაფიო ხდება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევისთვის მზად მყოფმა პოლიტიკურმა პარტიებმა შესაძლოა არამყარი, თუმცა ერთგვარი გამოსავალი მიუმხრობლობის პოლიტიკაში იპოვეს. ამის მიუხედავად, დღევანდელ საქართველოში პოლიტიკური პარტიების მიერ მიუმხრობლობის პოლიტიკის გატარება რუსეთთან დაახლოებისკენ გადადგმულ ნაბიჯად მოიაზრება.

დასკვნა: მიუმხრობლობის პოლიტიკის მნიშვნელობის ცვლილების შედეგები

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია საქართველოში საზოგადოებრივი კონსენსუსის საკითხია - პროდასავლურ ორიენტაციას ძლიერი საზოგადოებრივი მხარდაჭერა და ლეგიტიმაცია აქვს. თუმცა თუ მცირე ზომის პარტიები მოახერხებენ პოლიტიკურ დისკურსზე გავლენის მოხდენას 1990-იან და 2000-იან წლებში ქვეყნის მთავრობის მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკის დელეგიტიმაციის თვალსაზრისით, არ არის გამორიცხული, რომ საზოგადოებრივი აზრის ცვლილებაც შესაძლებელი გახდეს.

საზოგადოებრივი აზრი მყიფეა და დისკურსის რეპროდუქციას საჭიროებს იმისათვის, რომ დროთა განმავლობაში განმტკიცდეს. თუმცა საზოგადოებაში სრულად არასდროს არ დგება კონსენსუსი ერთ მოცემულ საკითხზე. არსებობს საზოგადოების ნაწილი, რომელსაც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება სურს ან საქართველოს დასავლეთთან დაახლოებას ქვეყნის ეროვნული იდენტობისა და უსაფრთხოების მიმართ არსებულ საფრთხედ აფასებს. ასევე არსებობს საზოგადოების ნაწილი, რომელიც როგორც დასავლეთთან, ისე რუსეთთან დაახლოებას ემხრობა. შესაბამისად, ისეთ პარტიებს, როგორცაა საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, შეუძლიათ მსგავსი განწყობების იმისათვის გამოყენება, რომ შექმნან და გააძლიერონ საკუთარი გავლენა პოლიტიკურ დისკურსზე. მაშინ, როდესაც ახალი მოთამაშეები სადაოს ხდიან მეინსტრიმულ იდეებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე და აცხადებენ, რომ ეს არის სწორედ ის, რაც ქართველ ხალხს სურს, საზოგადოებრივ აზრზე წნეხი იზრდება. იმის გათვალისწინებით, რომ ამ პარტიებმა, შესაძლოა, საპარლამენტო პლატფორმა მოიპოვონ მომავალ არჩევნებზე, წარმოდგენილი ნარატივი პოლიტიკურ დისკურსში მკაფიო სიგნალად დარჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

კაკაჩია, კ., ლებანიძე, ბ., და შ. ძევისაშვილი. 2020. (ღია) კარის თამაშები: ნატო-საქართველოს ურთიერთობები და მდგრადი პარტნიორობის გამოწვევები. პოლიტიკის დოკუმენტი No. 18, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

[http://gip.ge/wp-](http://gip.ge/wp-content/uploads/2020/10/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-18_compressed.pdf)

[content/uploads/2020/10/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-18_compressed.pdf](http://gip.ge/wp-content/uploads/2020/10/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-18_compressed.pdf)

ლიბერალი. 2016. „ნინო ბურჯანაძე: უბლოკო სტატუსი უნდა გამოვაცხადოთ და უარი ვთქვათ NATO-ში გაწევრებაზე.“ <http://liberali.ge/news/view/23487/nino-burjanadze-ubloko-statusi-unda-gamovatskhadot-da-uari-vtqvav-NATOshi-gatsevrebaze>.

Dahlburg, J. T. 1991. "News Analysis: Bush's 'Chicken Kiev' Talk – An Ill-Fated U.S. Policy: Ukraine: Efforts to Keep the Soviet Union Intact Are Recalled with Bitterness by Some in New Nation." Los Angeles Times.

<https://www.latimes.com/archives/la-xpm-1991-12-19-mn-1010-story.html>.

Freegeorgia.ge. 2020. თავისუფალი საქართველო: დინების წინააღმდეგ. პარტია „თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო პროგრამა, 2020. https://freegeorgia.ge/modules/documents/uploads/16_ge.pdf.

Lowe, W., Benoit, K., Mikhaylov, S., and M. Laver. 2011. "Scaling Policy Preferences from Coded Political Texts." Legislative Studies Quarterly, 36(1): 123-155. <https://doi.org/10.1111/j.1939-9162.2010.00006.x>.

Patriots.ge. 2020. საქართველოს პატრიოტი. <http://patriots.ge/ka/npN1>.

Volkens, A., Burst, T., Krause, W., Lehmann, P., Matthieß, T., Merz, N., Regel, S., Weßels, B., and L. Zehnter. 2020. The Manifesto Data Collection. Manifesto Project (MRG/CMP/MARPOR). Version 2020a. Berlin: Wissenschaftszentrum Berlin für Sozialforschung (WZB). <https://doi.org/10.25522/manifesto.mpds.2020a>.